პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 21 იანვარი, 1978 წ. № 18 (17062) ფასი 2 კაპ.

ვ. ი. ლენინის სახელობის ძარხანაში...

ჩვენი ეპოქის დროშა

ბაცოგრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, ლენინური იდეების გამარჯვების ეპოქაა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ეუფლება ჩვენი პლანეტის სულ უფრო ფართო მასებს, ყველა ქვეყნის მშრომელთა გულსა და გონებას და განაპირობებს რევოლუციური ძალების განუხრელ დაჩქარებულ ზრდას. სწორედ ლენინიზმთან არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის მთელი ეპოქა, უდიდესი რევოლუციური მოვლენები, მსოფლიოს სოციალური სახის ძირეული გარდაქმნები.

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. ჯანდაიოზულია ის გამარჯვებები და წარმატებები, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა. 1977 წელს მიღებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — ყველაზე ჰუმანური, დემოკრატიული კონსტიტუცია მსოფლიოში, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის მიზწევაფებებს, სურვილებსა და მიზნებს საბჭოთა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ყველაზე სრულად აისახა ოქტომბრის იდეები, ლენინის უკვდავი ანდერძი, საბჭოთა დემოკრატიის მიღწევები.

ლენინიზმი, როგორც მარად ცოცხალი, განვითარებადი მოძღვრება, იყო, არის და იქნება კომუნისტური პარტიის იდეური ცხოვრების ცენტრში, მთელი მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის საფუძველი. მიმართავს რა ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ლენინის აზრების, ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე გამონახოს კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, მისი მთავარი ტენდენციების თეორიული გააზრება საშუალებას აძლევს პარტიას განვსაზღვროს საზოგადოებრივი პროცესის მსვლელობა, შეიმუშაოს სწორი პოლიტიკური კურსი, თავიდან აიცილოს შეცდომები და სუბიექტივისტური გადაწყვეტილებანი.

ახლა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, სულ უფრო ფართოდ ვლინდება ხალხის აღმშენებლობითი ენერგია, იზრდება მისი შემოქმედებითი ძალები. ჩვენი სოციალისტური საშობლო კიდევ უფრო მძლავრი გახდა. გაძლიერდა მისი ზემოქმედება მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაზე.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება — ეს არის საზოგადოება, სადაც შექმნილია ნძლავრი საწარმოო ძალები, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, სულ უფრო ხელშეწყობი პირობები ექმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.

ლენინის მოძღვრება და საქმე უკვდავია. ლენინი ცოცხლობს მის მიერ შექმნილ პარტიის საქმეებში. ლენინი ცოცხლობს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძლიერებაში, ჩვენი ქვეყნის დიად მიღწევებში.

„ლენინი ჩვენთვის მარტო იმიტომ კი არ არის ძვირფასი, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ ჩვენი რევოლუციის დროშა, ჩვენი პარტიის დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელია. იგი ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელია იმიტომაც, — და, შესაძლოა, განსაკუთრებით იმიტომ, — რომ მისი გამჭრიახი შემოქმედებითი გონება და უძლეველი ლოგიკა, ანალიზის ხიღრმე და გაბედული დასკვნები და მოქმედება, რევოლუციონერის დაუცხრომელი მგზნებარება და ამასთანავე უდიდესი ადამიანურობა, უბრალოება და გულისხმიერება — ყოველივე ეს ჩვენთვის იყო და იქნება ცხოვრების ორიენტირი, ფასდაუდებელი ბურჯი და დახმარება დღევანდელ საქმეებში“.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნილებებისა და ამოცანების საფუძველზე სულ უფრო მტკიცდება და სრულყოფილი ხდება ხოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, სულ უფრო აქტიურდება საზჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სული და გული.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას, საწარმოო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, რაზედაც ასე მკაფიოდ, მტკიცედ, მთელი სერიოზულობითა და პრინციპულობით იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე.

პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მუშაობის ლენინური სტილი, რომლის დამკვიდრებას ეხლა ენ დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი.

ლენინიზმი თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, ცხოვრებით შემოწმებული მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის თეორია და მეთოდია. ლენინიზმის დროშით ჩვენი ქვეყანა ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს!

სუთიწლეულის მესამე წელს — დამკვრელური ტემპი!

დეკემბერში 169 ძრავით მეტი

ახალციხე. (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა საიუბილეო წელი, კარგი სტარტი აიღო მეათე ხუთწლეულის მესამე წლის პირველი დეკემბერიდან. 10 იანვრისათვის ქარხანამ გამოუშვა 219 ცალი ცელადი დენის ელექტროძრავა, რაც 169 ცალით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ახალი წელი მაღალორგანიზებულად და ნაყოფიერად დაიწყო აწყურის ზეინკლთა ბრიგადამ, რომელსაც ნ. ბოჩიკაშვილი ხელმძღვანელობს. დაწინაურდნენ აგრეთვე ხარატები ა. ბერიძე, გ. მანჯაკიძე, გ. ტოროსიანი, ხარასმეჭიერი რ. კოლესოვა და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, სკკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა 28 დეკემბრისათვის შეასრულოს, ხოლო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1,5 პროცენტით, ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად დაზოგოს 8 ათასი მანეთი, 2 ტონა ლითონი და 6 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, იბრძოლოს წარმოების მაღალი კულტურისათვის.

ქარხნის კოლექტივი ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად იბრძვის დეკემბერი — „დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კი უკეთ ვიდრე დღეს!“.

შ. მაისურაძე.

კარგი სტარტი

ჭითელი ჭყარო. (საკ. კორ.). ყველ-კარაქის მეთაფური ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რაიონში. იგი წლიურად 13-14 ათას ტონა რძეს გადაამუშავებს.

საიუბილეო წელი ქარხანამ სანლტელო მაჩვენებლებით დაამთავრა — მიიღო და გადაამუშავა 14 ათასი ტონა რძე, გამოუშვა 3 მილიონამდე მანეთის პროდუქცია და წლიური დავალება ვადაზე ოცი დღით ადრე დიდი გადამეტებით შეასრულა.

ქარხნის კოლექტივი უკეთესი მაჩვენებლებისათვის იბრძვის ხუთწლეულის მესამე — დამკვრელური წელს. იანვრის ათი დღის დავალება შესრულებულია 122 პროცენტით. მისი წლიური ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მიიღოს და გადაამუშაოს 2.000 ტონა რძე, აწარმოოს 500.000 მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია.

პირველი ნაგიჯები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მანდატორების მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწყრალი ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რაიონში. იგი წლიურად 13-14 ათას ტონა რძეს გადაამუშავებს.

მეურნეობის ათასი ფარეხი მთლიანად მოხნულია მზრალად. საგაზაფხულო გაკილებით მეტი მოამზადეს სათესად სიმინდის, სოიის, ლობიოს და ზვრიის თესლი. ამ დღეებში განსაკუთრებით ჩქარი ტემპით მუშაობენ სატრაქტორო პარკის მექანიზატორები. მოწინავე კომკავშირელი მექანიზატორები ზ. ჩაჩანიძე და ს. გოგოლაძე, შემკეთებლებთან ერთად თავს დასტრიალებენ ტრაქტორებს, ზრუნავენ მათი დროულად მწყობრში ჩაყენებისათვის.

მანდატორელი მეცხოველეები სანიმუშოდ აზიარებენ პირუტყვს. იანვრის პირველ დეკადაში მიღებული გაკილებით მეტი რძე, ეიდრე. გასული წლის შესაბამის პერიოდში. იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში პროდუქტიულობა კიდევ უფრო ამაღლდება.

ხორცი — საკარმიდამოდან

ხილნარი. (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის მოწოდებას, რომ საზოგადოებრივ მეურნეობასთან ერთად პირად მეურნეობაში ვაწარმოოთ და ქალაქის მოსახლეობა მოვამარაგოთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ხორცით, რაიონის მშრომელები მზურვალედ გამოეხმაურნენ.

ამ დღეებში ვაქარელებმა ნ. ხელაშვილმა 5.544 კილოგრამი, ნ. კვეთლიშვილმა—3580, გ. ქემაშვილმა — 1450 კილოგრამი ხორცი (ცოცხალი წონა) ჩააბარეს კოლმეურნეობის მიმდებ პუნქტს. მოიდელმა მშრომელებმა ს. ლეკაშვილმა და პ. კოტლამაზაშვილმა გაასუქეს და თვითეულმა სახელმწიფოს 3.500 კილოგრამი ღორის ხორცი მიპყიდა.

ორი-ორი ტონა ხორცი ჩააბარეს კოლმეურნეობის დამამზადებელ პუნქტს ნ. ჭიკრიანელებმა ო. ბაადოშვილმა და ფ. ოტიაშვილმა.

ვლ. მჟელლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

29 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნებს.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ე. ხარაძემ.**

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეფხოს ხსოვნას.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ე. შევარდნაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო ამოცანების, კომუნისტური მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას მათ წინაშე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელმაც პირველ პლანზე, მეცნიერების ფუნდამენტური მიმართულებების განუხრელ განვითარებასთან ერთად, დააყენა ცხოვრებასთან, წარმოებასთან მეცნიერების შემდგომი დაახლოების, წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრების ეფექტიანი დანერგვის, მეათე ხუთწლეულის დავალებათა შესრულებაში მეცნიერთა კოლექტიული მონაწილეობის საკითხები, თქვა მან.

საქართველოს მეცნიერები უფრო აქტიურად ებრძვიან ყველაზე პასუხსაგები სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ამ მუშაობას უსარიანად წარმართავს ქართული საბჭოთა მეცნიერების შტაბი — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და მისი პრეზიდიუმი.

ამ ბოლო ხუთი წლის განმილზე, თქვა შემდეგ ამხ. შევარდნაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, ქართულმა და მთელმა საბჭოთა მეცნიერებამ მძიმე, აუნახლაურებელი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალნენ გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები — აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, მთელი რიგი სხვა თვალსაჩინო მეცნიერები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებაში და შექმნეს მთელი მიმართულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, ქართველი მეცნიერები გრძნობენ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებათ ამ პირობებში. მათ შესანიშნავად ესმით, რომ მეცნიერება იმდენად ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი. ამიტომ, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. შევარდნაძემ, როგორც აქ, რესპუბლიკაში, ისე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობასთან და მის პრეზიდენტთან ა. ალექსანდროვთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სთხოვოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებას განიხილოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე ევგენი ხარაძის კანდიდატურა, ხოლო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ირაკლი გვეტაძეს** კანდიდატურა.

ამხანაგ ე. ხარაძეს, როგორც თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს, კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. გამჭრიახობით, მეცნიერული აზროვნებით ე. ხარაძე თავისი ხალხის საუკეთესო ტრადიციების ნამდვილი განსახიერებაა. დიდი ერუდიციის, მრავალმხრივი ინტერესების, საყურადღებო თვისებისა და ადამიანებისადმი უაღრესად მომთხოვნი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე ე. ხარაძე მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორია. ე. ხარაძის საზოგადოებრივი პოზიციები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ამ ბოლო დროს, როცა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანმაღლებისათვის. ე. ხარაძის პრინციპულ, უკომპრომისო გამოსვლებს დიდი რეზონანსი ჰქონდა.

ე. ხარაძის განსაკუთრებული დამსახურებაა ის დიდი და დაუცხრომელი ზრუნვა, რომელსაც იგი ანიჭებს ჩვენი მეცნიერების მომავლის — ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების ზრდისათვის.

ი. გვეტაძეული, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. შევარდნაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. მეცნიერი ჩინებულად უხამებდა ერთმანეთს დიდ მეცნიერულ და ორგანიზატორულ მუშაობას. იგი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 180-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. მეცნიერებისა და წარმოების დიდი ორგანიზატორის ჩვეულებრივ დაეხმარება მეცნიერს შეასრულოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისა და ამავე დროს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე დასახელებული კანდიდატურების გამო, მსჯელობისას გულითადად ილაპარაკეს მათ მეამბიტიკისა და ფუნქციის განყოფილების აკადემიკოს-დედავანმა **ვ. კუბარაძემ,** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა **ა. ჩიქობავამ, ნ. კეცხოველმა, ა. ცაგარელმა, გ. ჭოლოშვილმა, თ. გამყრელიძემ, თ. დავითაიამ, ს. ზურაბაშვილმა, ე. ანდრონიკაშვილმა, რ. აგლაძემ, კ. ზავრიევმა.**

შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. **რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ე. ხარაძე, ვიცე-პრეზიდენტად — ე. გვეტაძეული.**

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ხარაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე **ე. ხეხნიაშვილი.**

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. გ. ნ. ლეჟავას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. **გელა გიორგის ძე ლეჟავა** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაძარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 20 იანვარი.

ამხ. **გელა გიორგის ძე ლეჟავა** დაიბადა 1936 წელს. სკკპ წევრია 1965 წლიდან.

ამხ. გ. გ. ლეჟავამ 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. იმავე წლიდან მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ მუშაკად. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში არჩეული იყო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრად, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, მოგვიანებით — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრად, კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივნად.

ამხ. გ. გ. ლეჟავა 1973 წელს დადაჟვანილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, იყო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკის სექტორის გამგე.

აღნ. გ. გ. ლეჟავა 1976 წელს არჩეულ იქნა ადიგენის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამავე წელს ამხ. გ. გ. ლეჟავა აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად.

ამხ. გ. გ. ლეჟავა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მასალები ჟურნალებში გამოქვეყნდა

ახლა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს კრებები, რომლებზეც კომუნისტები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის შედეგებს, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის“.

კომუნისტები, პარტიული კრებებისათვის რომ ემზადებიან, ორიგინალურად ხსნიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის მასალებს, ხელმძღვანელობენ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მენინგრადის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მასალებით, მთელ ყურადღებას უთმობენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტას, შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციასა და ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ინტენსიფიკაციის, ფონდიანობით დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 27 დეკემბრის მერვე პლენუმის მასალები, რომელშიც განხილულია საკითხი **„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან“,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალების **„საქართველოს კომუნისტის“,** (როგორც ადრე, ისევ **„ეროვნული ბიბლიოთეკა“**), **„პარტიული სიტყვის“** (№ 3-4) და **„პარტიინეი ხლოვოს“** (№ 3-4) ახლახან გამოსულ ნომრებში დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის მასალები: საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ე. ა. შევარდნაძის** მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ამოცანების, შესახებ, აგრეთვე ამხანაგ **ე. ა. შევარდნაძის** საბოლოო სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 27 დეკემბრის მერვე პლენუმზე. (საქინფორმი).

დროის ოთხოვნების დონეზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიაჩნიათ ქვეყნის მთელი ეკონომიკური პოტენციალის ღონძიერ, რომელიც მოიცავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს და დიდ მოთხოვნებს უყენებს თითოეულ ადამიანს, მის ცოდნას, პროფესიულ მომზადებას. ეს მოთხოვნები მეცნიერად არის დაკავშირებული უმაღლესი სკოლის ამოცანებთან, რომელიც უშვებს ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებსაც ხალ დაეკისრებათ მთელი ზრუნვა საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემდგომი გამრავლებისათვის.

როგორი უნდა იყოს ხვალინდელი დღის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული? როგორ აღვზრდოთ სოფლისათვის თანრთო პროფილის არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არამედ სოციალისტური საბჭოთა ნიმბოლოს ნამდვილი მოქალაქენი, რომლებიც იქნებიან ლენინის, საქმის, კომუნისტური პარტიის უსაზღვრო ერთგულნი?

ეს საკითხები გახდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის პრინციპული, საქმიანი სკკა-ბაასის საგანი.

სამეცნიერო საბჭომ მოისმინა უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **ტ. ბ ი ს ა ს** პროფესორ **ვ. მეტრეველის** მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, „1973 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შესაბამისად უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების სისტემის სრულყოფის შესახებ“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მემკვინარეობის კათედრის გამგე პროფესორი გ. ბადრიშვილი, ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მახალდიანი, სატყეო მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე პროფესორი ვ. თარგამაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ჭინქარაშვილი, ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი შ. ხატიაშვილი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე დოცენტი ჯ. გიორგაძე, მოსავლის ასაღები და მეცხოველეობის ფერმების მანქანების კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ზხვაკაძისა, ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგე პროფესორი გ. ტალახაძე, უმაღლესი სასწავლებლის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. მესხი, აგრონომიის კათედრის გამგე პროფესორი გ. აბესაძე, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ც. მოსაძე.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებლთა და სტუდენტთა ჩრდილოთასიანი კოლექტივი მზურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის, გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის

(დასასრული მე-2 გვ.)

დროის მოთხოვნების დონეზე

(დასასრული)

ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ". უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის ეროვნულ-დემოკრატიული განმტკიცების განსორციელებაში, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ღონისძიებათა დიდებული დასტა, რომელიც მიზნად ისახავენ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ სრულყოფას. ეს სახელის ომის საჭიროებას, რომ გაიზარდოს მომთხოვნელობა სოფლისათვის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დონისა და უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხამდე, ძირფესვიანად გარდაიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის მეთოდები და ფორმები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის ეფექტიანი ბრძოლის ორგანიზაცია, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, უმნიშვნელოვანესი და უაღრესად პასუხისგებელი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც კომუნისტური პარტია მთავარ ყურადღებას უთმობს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის ყოველ პლენუმზე იხილება სოფლის მეურნეობის საკითხები. გასულ წინა წლებთან შედარებით ამ დარგში რესპუბლიკაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა სწრაფი ტემპით ვითარდება. ამ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივებიც.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობამ სწორი დასკვნები გამოიტანა მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებიდან, თვითკრიტიკულად გააანალიზა ინსტიტუტში საქმის მდგომარეობა, შეიმუშავა და ცხოვრებელს ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელთა მიზანსა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების მთელი სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა.

დიდი ყურადღება ეთმობა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მთელი გაუმჯობესებას, სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის სრულყოფას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებას. ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სტუდენტი იხილავდეს ობიექტურ-მასწავლებლთა შემადგენლობის მთელ საქმიანობას, განსაზღვრავდეს კომუნისტური იდეურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნება, საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობა.

ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მთლიანად აღმოიფხვრას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღების დროს წინათ არსებული სუბიექტური ნაკლოვანებანი. კიბორგანიზმაღლეს სასწავლებლში შესულ მუშათა და კოლმეურნეთა რეკომენდაციის პროგრამულ ფორმებს, ვზრდიდეთ ჰეჩტარობრივ მოსავლიანობას და ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ სათვალავზე გადასვლის შემდეგ საჭირო გახდა მოვამზადოთ თანამედროვე პროფილის სპეციალისტები, რომელთაც აკონონომის ციოდეს ორგანულად უნდა ჰქონდეთ შეხამებული საინჟინრო ცოდნასთან. ეს განსაკუთრებით საჭიროა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პირობებში. ამიტომ მიმდინარე წლის დამდეგიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიწყო ახალი სპეციალობის კადრების — აკონომინჟინრების მომზადება. ინსტიტუტის წინაშე დადგა ამოცანა დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მომზადდეს მეცნიერებისა და განმანათლებელ-ოფიციერთა, საკვებწარმოების, მექანიზაციისა და სხვა დარგების აკონომინჟინრები, რომლებიც ასე გჭირდება საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესისათვის.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის მონაწილეებმა აღიარეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, სადაც სპეციალისტთა მომზადებასთან ერთად თავმოყრილი იქნება და გათვითოდება გამოკვლევები, რომლებიც ახლა წარმოებს რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში, რათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გათვალისწინებით შეიმუშაონ სამთო მოდელმოქმედების ინდუსტრიული რელსებზე გადაყვანის მეცნიერული საფუძვლები. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც "სასოფლო-სამეურნეო საავარჯიშოებს ორმოცა პროცენტზე მეტი ორმოცენტზე მეტი მთაში და მთისწინეთში მდებარეობს.

სამთო მიწათმოქმედების პირობები, აღინიშნა სხდომაზე, მკვეთრად განსხვავდება ბარის მიწათმოქმედების პირობებისაგან თავისი აკონტექნიკით, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საშუალებებით, რწყვისა და მელიორაციის ხერხებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პირობებით. მაგრამ ეს საკითხები პრაქტიკულად შეიმუშაველია. ეს რთული კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც უდიდესი სამეცნიერო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი დამუშავება ჯერ-ჯერობით არ ძალუძთ დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს. ისინი ლოკალურ სპეციალიზებულ ამოცანებს წყვეტენ და არა აქვთ შესაძლებლობა საწყოინ მრავალმხრივი კომპლექსური კვლევითი მუშაობა სოფლის მეურნეობის ყველა სამეცნიერო დისციპლინის სპეციალისტთა მონაწილეობით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კი, აღნიშნეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, თავმოყრილია თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სპეციალობის სამეცნიერო კადრები. აქ მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო საკითხებზე მოღვაწე მეცნიერებათა დოქტორების 60 პროცენტი. გარდა ამისა, ინსტიტუტს აქვს მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა. ამ მუშაობაში შეიძლება ფართოდ ჩავებათ სტუდენტები. მაგალითად, ამ თვე წლის წინ, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და შესაბამისი ფაკულტეტის შერწყმის შემდეგ, აქ შეიქმნა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტი, რომელიც დღესაც წარმატებით მოქმედებს.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მძლავრი ბაზები არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სწავლებისა და საწარმო პრაქტიკისათვის. არადა, ისინი კარგ დახმარებას გაგიწევდნენ სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის საქმეში.

ხსდომაზე აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერები ჯერ კიდევ არ იჩენენ სათანადო აქტიურობას სელექციის საკითხების, ორი მოსავლის მიღების, მცირე მექანიზაციის, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა პრობლემების შემუშავებაში.

არსებითი ხარვეზებია სპეციალისტთა მომზადებაშიც. უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთ კურსდამთავრებულს ჯერ კიდევ აკლია ზოგადი კულტურა; ხშირად ისინი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქტიურად ვერ ებმებიან ხალმეს საწარმოო პროცესში. სასურველია, თქვეს გაღოსულმა ამხანაგებმა, გამოვიყენოთ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების გამოცდილება და სამუშაოდ გაგზავნის შემდეგ კურსდამთავრებულს შეაძლებლობა მოეცეთ ორ წლის განმავლობაში სტაჟირებას გადოდეს ერთ-ერთ მოწინავე საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში. ეს უდავოდ კარგ ნაყოფს გამოიღებს.

უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივმა უნდა გააძლიეროს ბრძოლა პროტექციონიზმის, რუტინიორობის, სტუდენტთა ცოდნის ობიექტური შეფასებისა და სხვა ნაკლოვანებების წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერეე პლენუმმა აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერეს ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რისთვისაც რესპუბლიკაში ყველა საჭირო პირობაა შექმნილი.

სოფლის მეურნეობას, ხაზი გაუსვეს სამეცნიერო საბჭოს სხდომის მონაწილეებმა, სჭირდება არა მარტო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, არამედ ორგვარ ორგანიზატორი, სახელმწიფო ადამიანი, მაღალი კულტურის ადამიანი, რომელიც საქმით ახორციელებს კომუნისტური პარტიის იდეებს!

სამეცნიერო საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, გაფართოვდეს მეცნიერული კვლევა და მისი შედეგების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ი. სეხნაშვილი. (საქინფორმი).



დავეუფლოთ მუშაობის ლენინურ სტილს

ლენინი დეპუტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატი!

ამაყად და მძლავრად ჟღერს ეს ჭეშმარიტად დიდებული სიტყვები. აქამამდ ჩვენში ამ მაღალ წოდებას ატარებს 2,2 მილიონზე მეტი დეპუტატი. ჩვენს ქვეყანაში მართვის საქესთან დგას მუშა და აკადემიკოსი, მწველავი და მასწავლებელი, ტრაქტორისტი და კოსმონავტი, ზაროროელი და პოეტი, ჯარისკაცი და ექიმი.

დეპუტატი ხალხის მსახურია!

ამ სამ სიტყვაში უაღრესად დიდი აზრია ჩაქსოვილი, ამა დაფიქრდით, შენ ხალხი გვნდო და თავის წარმომადგენლად გაგგზავნა ადგილობრივი და უმაღლესი ხელისუფლების ორგანოში. შენ, სახალხო დეპუტატს, გაკისრია ხალხის მსახურის დიდი და საპატიო ნდობას ყველა კეთილსინდისიერად ეკიდება, საქმე კარგად მიდის.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იძლეოდა იმის ბრწყინვალე მაგალითს, თუ როგორ უნდა მუშაობდეს დეპუტატი, როგორი უნდა იყოს იგი, ხალხის მსახური.

მოსკოვის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოში არის დეპუტატთა ოთახი. აქ დეპუტატის ბილეთებს გადასცემენ იმათ, ვისაც ხმა მისცეს მოსკოველებმა. მათ შორის უხილავად არის ადამიანი, რომლის სახელზეც იდგა ერთ-ერთ ბილეთზე ათეული წელია გამოწერეს ხოლმე № 1 დეპუტატის ბილეთს. ეს ადამიანია ლენინი — პირველი და უფროსი დეპუტატი.

1924 წლის 7 თებერვალს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილმა მოსკოვის საბჭოს საგანგებო პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება — **„ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სამუდამოდ დარჩეს მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში, როგორც მოსკოვის მშრომელთა დეპუტატი.**

№ 1 საწევრო ბილეთი, რომელიც ეკუთვნოდა ვლადიმერ ილიას ძეს, მომავალში არ გამოიწეროს მოსკოვის საბჭოში არჩეულ სხვა რომელიმე დეპუტატს".

ეს ისტორიული გადაწყვეტილება უარყვავად სრულდება. ყოველი არჩევნების დროს მოსკოვის საბჭოს დეპუტატთა ოთახში სტენდზე ჩნდება კიდევ ერთი ძვირფასი ფოტოკვრა — დეპუტატის ბილეთი, რომელიც გაცემულია ვ. ი. ლენინის სახელზე.

1918 წლის 10-11 მარტს პეტროგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა მთავრობა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით. მოსკოვი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. მეორე დღეს, 12 მარტს ლენინი გამოვიდა სხტეთი მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე. ეს იყო მისი პირველი გამოსვლა მოსკოვის საბჭოს დეპუტატების წინაშე.

1920 წლის თებერვალში ლენინი არჩეული იქნა მოსკოვის საბჭოს დეპუტატად ორი ორგანიზაციისაგან: სახელმწიფო № 3 საკონდატრო ფაბრიკისაგან (აქამად ფაბრიკა „ბოლშევიკი") და ნიკოლაევსკოს რკინიგზის სადგურ ხოვრინოს მუშა-მოსამსახურეებისაგან. მას ირჩევდნენ დეპუტატად მიხეილოონის ქარხნის (აქამად ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ქარხანა), ქარხანა „კრასნეცი ბოგატორის" და სხვა ორგანიზაციებისაგან, ხოლო 1920 წლის აპრილიდან მიყოლებული კი მას ირჩევდნენ მოსკოვის საბჭოს დეპუტატად პროხოროვის მანუფაქტურის მუშები (აქამად ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფ. ძერჟინსკის სახელობის საკავშირო სახელმწიფო ბამბეულის კომბინატი „ტროიოზგორნაია მანუფაქტურა"). 1921 წლის აპრილში „ტროიოზგორნაიას" მუშათა დელეგაციამ ვლადიმერ ილიას ძეს დეპუტატის № 1 მანდატი გადასცა.

ამ საწარმოს ძველი მუშები იგონებენ: „როდესაც ჩვენთან ქარხანაში ტარდებოდა საბჭოების არჩევნები, ჩვენ ვირჩევდით მოსკოვის საბჭოს წევრად ვლადიმერ ილიას ძეს. სიას ვაკრავდით ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. მუშები უყურებდნენ და ამბობდნენ: „რაკი ილიჩი სიაში პირველია, ე. ი. სია სწორია. ჩვენი საბჭოს წევრები არ შეარცხვენენ ილიჩს სახელს, ხმას მივცემთ მთელს სიას ერთსულოვნად. და ყოველთვის, როცა კი კანდიდატების სიის დასახელება იწყებოდა, ყველა სმენად გადაიქცეოდა: როგორც კი ეურს მოკრავდნენ ლენინის სახელს, იტყდებოდა ტაში".

ბასებთან ხელმძღვანელის მჭიდრო კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა და წარმოადგენს გამოსვლა სიტყვებით და მოხსენებებით მშრომელთა წინაშე.

„პირადი ზემოქმედება და კრებაზე გამოსვლა პოლიტიკაში ძალიან ბევრს ნიშნავს, უამისოდ არ არის პოლიტიკური მოღვაწეობა". — ამბობდა ლენინი.

საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადმოსვლის დროიდან ლენინი 250-ჯერ გამოვიდა სხვადასხვა მიტინგებზე, თათბირებსა და შეკრებებზე. მოსკოვის, მოუსმენიათ მოსკოვის ახლომდებარე ოცზე მეტი სოფლის გლეხებსაც. ბელადი მოითხოვდა — ხალხს ვუთხრათ სიმართლე, ველაპარაკოთ პირდაპირ, გვერდი არ ავუაროთ მტკივნეულ საკითხებს.

ეს იყო ინგარიშის ჩაბარება თავისი მუშაობის შესახებ. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ დეპუტატს, ყველა ხელმძღვანელს, შეასრულოს ეს ანდერძი ბელადისა, ლენინ-ტუკეცისა: „დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამომრჩეველს, აგრეთვე კოლექტივებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს"...

ყოველი ხელმძღვანელი მუშაკი, სახალხო დეპუტატი ხალხის მსახურია და მისი უპირველესი ვალია გულისხმიერად მოეკიდოს მშრომელთა მოთხოვნილებებს. საბჭოთა ადამიანებს, მიმართავენ რა შესაბამის ორგანიზაციებს, შეგნებული აქვთ სიძნელეები. მათს განიყენებას, გულისწყრომას დამაკერებელი, დასაბუთებული უარი კი არ იწვევს, არამედ საქმის გაჭიანურება, გულგრილობა, სხვისკენ ხელის მითითება, რაც ჟამ-იქ ჯერ კიდევ ბოლომდე ამოძირკვული არ არის. სწორად ამბობენ: მედიცინის დის ღიმილი, ავადმყოფს რომ ათბობს, ხშირად უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ფამალი. თუ ექიმთან საუბრის შემდეგ ავადმყოფი ცოტა უკეთ მაინც არ იგრძნობს თავს, ის ექიმი ექიმი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას ხელმძღვანელზე, სახალხო დეპუტატზე. ასთ უნდა ესმოდეთ მთხოვნელის გულისთქმა.

ვლადიმერ ილიას ძე პირადად ათვალიერებდა ქალაქის ზხვადასხვა რაიონს, ინტერესებდა თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები. ხშირად იგი ფეხით მიდიოდა კრემლიდან სოკოლნიკამდე, სადაც სატყეო სკოლაში მკურნალობდა და ისევნებდა ნადედა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. როგორც იციონენ, სოკოლნიკებში ბელადი მიდიოდა ყოველთვის სხვადასხვა გზით და სხვებისაგან შეუჭნ�ფეხითვე ბრუნდებოდა კრემლში. ასეთი გასეირნებიდან დაბრუნების შემდეგ იგი იძლეოდა მთელ რიგ მნიშვნელოვან შენიშვნებს და წინადადებებს.

ქვეყანა განსაცდელში იყო. გასაგებია, ლენინს აუოაცელი სახელმწიფოებრივი საზრუნავი ჰქონდა, მაგრამ მაინც პოულობდა დროს იმისათვის რომ შეეტყო, იყო თუ არა სითბო საავადმყოფოში, მიეცა მითითება — საავადმყოფოები უზრუნველეყოთ თბილი ხახმეფით. იგი ინსაც ასწერებდა, რომ მისულიყო საბავშვო ნაძის ხეზეც, ეცგლის გახსნაზეც. ძველი მუშები იგონებენ, თუ როგორ ეწვეოდა ხოლმე მათ ვლადიმერ ილიას ძე, რათა მათთან ერთად შეხვედროდა ახალ წელს.

1919 წლის შემოდგომაზე დაჭრილი ჯარისკაცების მდგომარეობის გასაცნობად ლენინი თვითონ მივიდა პირადად მოსკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში. „ინვალიდნი ცხოვრობს მოსკოვის № 151 ჰოსპიტლის ყოფილი კომისარი ა. ს. სემიონოვ-ბლაზი, საღამოს, — წერდა ეკიტი ხნის წინათ „პრავდაში" იგი, — კარებთან ავტომობილი გაჩერდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და ვლადიმერ ილიას ძე გადმოვიდნენ, მას ყურებიანი ქუდი ეხურა და პალტო ეცვა. ვახშმის შემდეგ ყველა, ვისაც სიარული შეეძლო წოფილ კუთხეში მოგროვდნენ... მძიმე ავადმყოფებმა გაიგეს რა, რომ ლენინი მოვიდა, მოითხოვეს საკაცით წაეყვანათ და წინა რიგში მოკალთადნენ.

— სიტყვა ძვირფას სტუმარს გადავეცი და ვთქვი, რომ ვლადიმერ ილიას ძემ თავის მოსვლით გაგვახარა. ვლადიმერ ილიას ძე წინ წამოვიდა და ღიმილით შემოსწორა: „კიბისაბმა არასწორად მოგახსენთ — მე კი არ გაგახარეთ ჩემი მოსვლით, თქვენ გამახარეთ, ბედნიერი ვარ რომ შესაძლებლობა მაქვს დღეს თქვენთან ვიყო. მიხარია, რომ შემიძლია გესაუბროთ, გავიგო რა გიჭირთ..."

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო სამოქალაქო ომის დაჭრილ გმირთა ჩანაწერები. აი, რას წერს სკკპ წევრი 1919 წლიდან. უნგრელი ი. ი. პოლ: „— ვლადიმერ ილიას ძე ჩემს საწოლს მიუახლოვდა. დავიბენი, არაფრის თქმა არ შეძლეია. ბრძანებების გაცემა რუსულად ვისწავლე, საუბარი კი ვერა, სტუკვები არ მყოფნის. „ინტერნაციონალი", — ეი პირველი სიტყვა რაც ენაზე მომადგა, ყველაზე გასაგები და ძვირფასი სიტყვა, თან დავუმატე: „მე უნგრელი ვარ", ლენინმა თბილად გაიღიმა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, რომ ეს ძალიან კარგია, როცა ყველა ხალხი მეგობრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება! შემდეგ ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა და გამომკითხა როგორ ვიბრძოდით, თავს როგორ ვგრძნობთ... მალე სახკომსაბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რომელსაც ვ. ი. ლენინი და მ. ი. კალინინი აწერდნენ ხელს, შეიქმნა დაჭრილ და ავადმყოფ წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტი.

ვ. ი. ლენინი, როგორც მოსკოვის საბჭოს დეპუტატი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის სამეურნეო საკითხებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის 6 მარტს მოსკოვის საბჭოს სხდომაზე ბის გამოსვლას. იგი ამბობდა: **„უწინარეს ყოვლისა ჩვენს წინაშე დღის წესრიგში დგას ამოცანა — გავწმინდოთ მოსკოვი იმ ჭუჭყისა და გავიარანებისაგან, რომელშიც ის მოჰყვა. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს, რომ მაგალითი გავხდეთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის... უნდა ვუჩვენოთ ეს მაგალითი აქ, მოსკოვში, მაგალითი, როგორიც არა ერთხელ უჩვენებია მოსკოვს".**

სიტყვას დაუყოვნებლივ საქმე მოჰყვა. მალე ბელადმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე გამოყოფილ იქნა თანხები მოსკოვის სანიტარული მდგომარეობის გაუჯობესებისათვის, შეაკეთეს შენობები, ხიდები, ტროტუარის ბაზი, წყალსადენი, კანალიზაცია.

იგი დაუცხრომლად ზრუნავდა მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ათასობით მუშის ოჯახი გადაიყვანეს ნესტიანი, ბნელი სარდაფებიდან და ქონმაზებიდან ყოფილი მემამულეებისა და მოხელეების ბინებში.

ბელადს სურდა მოსკოვი ეხილა ნათელი, ლამაზი, კეთილმოწყობილი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა არქიტექტორთა გეგმების, ხუროთმოძღვართა ჩანაფიქრის განხილვაში. მას მხურვალედ აინტერესებდა, თუ როგორ გამწვანდებოდა ქალაქი, დაეთანხმა ბოლაზრებს, რომ სასარგებლოა მოსკოვის ცენტრსა და გარეუბნებში დიდი მწვანე მასივების, მისი სიტყვით, ამ „ეინგბადის რეზერვების" შექმნა. იძლეოდა რჩევას, რომ გაეზარდათ მწვანე ნარგავების ფართობი მოსკოვის ახალი დაგეგმარების დროს. ვლადიმერ ილიას ძის მძღოლი ს. კ. ბილი იგონებს: „როცა ლენინმა გაიგო რომ სოკოლნიკების პარკში ჭრიდნენ ხეებს სათბობისათვის, მან კატეგორიულად აკრძალა ხეების ბოჭრა. ის ამბობდა: „მოჭრით ხეებს და მერე სადღა დაისვენებს მოსახლეობა? განადგურება ადვილია, მაგრამ როდისღა გავზრდით მათ ისევ?" ამის შემდეგ მან მალე ხელი მოაწერა დეკრეტს მოსკოვის ირგვლივ საგარეუბნო ტყეების მკაცრი დაცვის შესახებ.

ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დედაქალაქის დამშვენებას ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებით.

ვლადიმერ ილიას ძე დიდ მზრუნველობას იჩენდა მოსკოვის მუშების სურსათით მომარაგებისათვის, ყოველმხრივ ხელს უწყობდა საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებას. მისი დახმარებით შეიქმნა მოსკოვში პირველი დიდი უნივერსალური მაღაზია (გუმი), მისი ხელმეწყობით მოსკოვის საბჭომ 1919 წელს გახსნა საზაკვების 1.700-ზე ბეტი პუნქტი, რომლებიც გაანგარიშებული იყო 1 მილიონ კაცზე. 3 ათასზე მეტი ბავშვი უფასოდ იღებდა სკოლაში ცხელ საუზმეს, იგი უშუალოდაც მონაწილეობდა მოსკოვის კეთილმოწყობის სამუშაოებში. საყოველთაოდ ცნობილია ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება — 1920 წლის 1 მაისის შაბათობა, რომელიც მოეწყო კრემლის ტერიტორიის გასასუფთავებლად სამშენებლო მასალების ნარჩენებისაგან.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ საბჭოებს უფრო მეტად და კონკრეტულად ემუშავათ ეკონომიკის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებზე. საინტერესო დამახასიათებელი ფაქტი. 1920 წელს მოსკოვის საბჭოს საქმიანობის ნიმოხილვას რომ გაეცნო, ლენინმა იქ, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოსკოვის საბჭოს ლომასკომმა განიხილა 8 ეკონომიური და 46 ორგანიზაციული საკითხი, არეებზე დაწერა: **„სიმახინჯეა, პირიქით უნდა იყოს".** იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფაქტიური შესრულების შემოწმებას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას.

1922 წლის იანვარში წერილში „სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის ახლებურად დაყენების შესახებ" წერდა: **„...მთელი ყურადღება მივაქციოთ შესრულების შემოწმებას, ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას"... იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანებთან მუშაობას. მიუთითებდა, რომ საჭიროა „...შეისწავლოთ ადამიანები, ეძებეთ უნარიანი მუშაკები, ახლა ეს არის მთავარი; უამისოდ ყველა ბრძანება და დადგენილება ბუჭყიანი ქაღალდია".**

დაუვიწყარ ძმიმე 1918 წლის 30 აგვისტოს, როდესაც ლენინი დაჭრეს და შემდგომმა უდიდესმა ტრაგედიამ მუშათაშორიერყინა მისი ჯანმრთელობა, 1921 წლის ზამთრიდან მოყოლებული ექიმების დაჟინებით მოთხოვნით იგი იძულებული იყო ხშირად შეეწყვიტა მუშაობა, ეწყენარა და დაესვენა, 1922 წელს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მაგრამ მიუხედავად ავადმყოფობისა. ვლადიმერ ილიას ძე სახელმწიფო საქმეებში იყო ჩაფლული. იგი ღებულობდა ასობით მისალმებას გამოჯანმრთელების სურვილებით.

1922 წლის 17 ივლისს თბილისის საბჭოს პლენუმზე წაკითხულ იქნა დეპეშა ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დეპეშაში ნათქვამი იყო: **„ექიმები ფიქრობენ, რომ ერთი თვის შემდეგ მას საშუალება ექნება ძველებურად გაავრძელოს მუშაობა".** ამ სასიამოვნო ცნობის პასუხად გაისმა ხანგრძლივი მქუხარე ტაში. ლენინს გაეგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: **„მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭომ მოისმინა დეპეშა... თქვენი საბოლოო გამოჯანმრთელების შესახებ. ეიგზავნით სახელოვან ბელადსა და საერთაშორისო პროლეტარულ ალაზეებთან სულისჩამდგმელს ჩვენს მგზნებარე სალამს".**

1922 წლის ოქტომბერში ლენინი სამუშაოს დაუბრუნდა. ამან გაბოროტა მთელი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი სიხარული. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა გაუგზავნა მას წერილი:

„ჩვენო ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძეო, ჩვენ მოსკოვის საბჭოს წევრებმა პლენუმზე გავიგეთ, რომ თქვენ უკვე შეუდექით ჩვენი პროლეტარული ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელობას, გვიხარია, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო, თქვენი ჯანმრთელობა და გელით ჩვენთან პლენუმზე".

„ტროიოზგორნაია მანუფაქტურის" მუშებმა მოსკოვის საბჭოს დეპუტატად ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უკანასკნელად 1923 წლის ნოემბერში აირჩიეს. ამომრჩეველების დავალებით მუშათა დელეგაცია წავიდა მასთან მანდატის გადასაცემად. მუშები იგონებენ: „ვლადიმერ ილიას ძემ მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, ეფიქრობ, რომ თქვენს ნდობას ვამართლებ".

ეს იყო ბელადთან მისი ამომრჩეველების, მუშების უკანასკნელი შეხვედრა. ერთი წლით ადრე 1922 წლის 20 ნოემბრის ლენინი სიტყვით გამოდის დიდ თეატრში მოსკოვის საბჭოს პლენუმზე, მის გამოჩენას ტრიბუნაზე მქუხარე ტაშით და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდნენ. მისი ისტორიული სიტყვა 30 წუთს გაგრძელდა. მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით. სიტყვის დასასრულს მან მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ **„ნეპური რუსეთიდან გვექნება სოციალისტური რუსეთი".**

მოსკოველი მშრომელები ლენინის ზრუნვას უპასუხებდნენ აღფრთოვანებული და თავდადებული შრომით, მხურვალე სიყვარულით და ერთგულებით. ამან თავის გამოხატულება ჰპოვა მისალმებაში, რომლითაც მოსკოვის ხაბჭომ დიდადალაქის ყველა მშრომელის სახელით მიმართა მას 1923 წლის 10 დეკემბერს:

„ჩვენს სამუშაოს რომ ვიწყებთ, ჩვენ, მშრომელი მასების წარმომადგენლები — მოსკოვისა და რაიონული საბჭოების დეპუტატები, გითვლით ჩვენს მხურვალე ამხანაგურ სალამს. ჩვენ ბიდნიერები ვართ იმით, რომ ჩვენს რიგებში, მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში პირველია დიდი ბელადი და მასწავლებელი ჩვენი ვლადიმერ ილიას ძე".

ეს მიმართვა ბელადისადმი ეკოერდა და ეღერს როგორც ფიცი, რომ გამარჯვ-მდე მიიყვანენ მის დიდ და უკვდავ საქმეს.

ფილიპე მახარაძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ვინც ამთავითვე ჩამორჩა

ტრაქტორმშენებელთა სიძნელეები

მიმდინარე წლის იანვარი დამამაყოფილებლად ვერ დაიწყო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივმა შეათე ხუთწლეულის მესამე წლის სტარტზე ქარხანა ჩამორჩა როგორც მოლიანი პროდუქციის წარმოების. ასევე რეალიზაციის დაკვალებათა შესრულებაში. 17 იანვრამდე აქ უნდა გამოეშვათ 370 ათასი მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად აწარმოეს 293 ათასი მანეთის ნაწარმი.

რა არის ჩამორჩენის მიზეზი?

წლის დამდეგიდანვე ერთობ გაჭირდა ქარხნის მომარაგების საქმე. სერიული წარმოების ტრაქტორების, მოდერნიზაციისათვის ხარკოვის თვითმავალი შასების ქარხნიდან აქ უნდა გამოეგზავნათ „ტ-16" ტრაქტორები, რომლებიც დროულად ვერ მიიღეს.

მიზეზი? ფოლადის სხმულების ნაკლებობა! ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ეს საკითხი. საწარმოს მუშები, კომუნისტები ამის გამო საყვედურებს გამოთქვამენ თათბირებზე, პარტიულ კრებებზე. ზრუნავს

„სალუტ-6“: ექსპერიმენტები ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 20 იანვარი. (საკდესი). კოსმონავტები ორი რომანენკო და გიორგი გრეჩკო ამთავრებენ ორბიტაზე მუშაობის მეექვსე კვირას.

გუშინდელი დღის დიდი ნაწილი დაეთმო დედამიწის ფოტოგადაღებას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. მკფ-6მ მრავალზონალური ფოტოაპარატის მეშვეობით ეკიპაჟმა გადაიღო შუა აზიის რესპუბლიკების, უკაზეთის, ყირიმის, ქვემო ვოლგისპირეთის, სამხრეთ ურალისა და უკრაინის ცალკეული რაიონები. ნაშუადღევს ფოტოგადაღება მიმდინარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხადგურის ფრენის დროს.

დღეს ეკიპაჟს ხამედიცინო ექსპერიმენტების დღე აქვს. კვლევა მიმდინარეობს ორგანიზმის ხაადაპტაციო პროცესების დინამიკის შესწავლისა და ხანგრძლივი ფრენის დროს კოსმონავტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის პროგნოზირების მიზნით. დღის პროგრამაში შეტანილია ხისხლის მიმოქცევის ხისტემის, გულ-ხისხლძარღვების ხისტემის კომპლექსური გამოკვლევა და სხვა ექსპერიმენტები.

ტელეშტრიფული ინფორმაციის მონაცემებით და კოსმონავტთა მოხსენებების თანახმად, ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ. ხადგურის ხაპორტო ხისტემები და ხამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

„ხალუტ-6“ ორბიტული პილოტირებული ხამეცნიერო ხადგური ფრენას განაგრძობს.

პარტიის მიერ დასახული გზით

ხაქართველოს ალკკ აფხაზეთის ხაოლქო ორგანიზაციის XXXIV კონფერენციაზე

გაიმართა ხაქართველოს ალკკ აფხაზეთის ხაოლქო ორგანიზაციის XXXIV კონფერენცია. ხაანგარიშო მოხსენება აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ გააკეთა ხაქართველოს ალკკ აფხაზეთის ხაოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ფილიამ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ხაანგარიშო პერიოდში აკტონომიური რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები აქტიურად იბრძოდნენ ხკკპ XXV ყრილობის, ხაქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და ხრულიად ხაკავშირო ალკკ XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მოწოდება — „განვახორციელოთ ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“, აფხაზეთის ახალგაზრდობის ხამოქმედო პროგრამა გახდა. ფართოდ გაიშალა ხოციალისტური შეჯიბრება. შრომის აკადგარდშია 2500 კომუნისტური შრომის დამკვრელი, 296 კომკავშირული - ახალგაზრდული ბრიგადა. 80 ათასზე მეტი ჰაბუკი და ქალაშვილი აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში — „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება“, ქალაქის და ხოფლის 6 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ უპატიჟა ხამშობლოს მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადაზე ადრე შესრულება. ათასობით ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა მოძრაობაში — დიდი ოქტომბრის 8ე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური ჯიგარ! ხაუბილეო შრომითს პაექრობაში ინაირთა გამარჯვებულა მოპოვებული. აფხაზეთის აკტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეთა წარმატებაში დიდია ახალგაზრდების წვლილი. აღსანიშნავია, რომ თავი ისახელეს ახალგაზრდა მეთამბაქოეებმა, მეცხოველეებმა, მესიმინდეებმა.

აფხაზეთის მუშათა კლასის ოცდაეული

საქართველოს ფოტო-ხელოვნება

შენდება, მშვენდება

ქობულეთი. დღითიდღე იზრდება და მშვენდება კურორტი ქობულეთი და მისი შემოგარენი. ახალი სახე და იერი მიიღო ლენინის მოედანმა. გამწვანდა და აყფართოვდა ლენინის ქუჩა. სადგურის მოედანი გამარჯვების პარკმა დაამშვენა. ბორკის ქუჩაზე თანამედროვე ლამპიონები ჩამწკრივდა. ქალაქში ხარაჩოებმაც იმატა. მალე მწყობრში ჩადგება 928-ადგილიანი დასასვენებელი სახლი-პანსიონატი „მშენებელი“ ცეკავშირის დასასვენებელი სახლის ახალი კორპუსი, სასტუმრო „ინტურისტი“. შენდება საცხოვრებელი სახლები კიდევ უფრო კეთილმოწყობა პლაჟები, ტურისტული ბაზები. კეთდება მდინარე აჭყვისთვის ახალი კალაპოტი.

ო. კონცელიძე.

ხიდი ენგურზე

სოფლის მთავარი გაჭირვება ხიდის უქონლობა იყო. ვინ მოსთვლის, რამდენი მწუხარება, უსიამოვნება მოუტანია ზუგდიდის რაიონის განმუხტველი მშრომელებისათვის ადიდებულ ენგურს.

და აი სოფლის სატკივარს გამოეხმაურნენ რაიონის ხელმძღვანელობა და ენგურჰესის დირექცია. რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის შოთა მეფარიშვილის პროექტით აშენდა ახალი ხიდი, რომლის მშენებლობა განახორციელა „კოლხეთმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველომ.

ამ დღეებში გაიმართა ხიდის საზეიმო გახსნა.

ზ. ცხოლდია.

ვ. კაკინაშვილის სახელობის ქუჩა

ამიერიდან დედაქალაქის ლენინის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ყოფილი შუშის, სოციალისტური შრომის გმირის ვასილ პაპინაშვილის სახელი ერქმევა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამასწინათ თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. ფასდაუდებელია შრომის ვეტერანის ვასილ პაპინაშვილის წვლილი მშობლიური საწარმოს ჩამოყალიბებასა და მისი ახალგაზრდა შუშაკების აღზრდაში. (საქინფორმი).

დანაშაული ჩვენ თვალწინ

ვაის გავეფარე, მაგრამ...

ფასსიფიცირებული ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა, მომხმარებლის მოტყუება წონასა და ფასში ძლიერ გავრცელებული სენი იყო ჩვენი რესპუბლიკის ბენზინგასაწყობ სადგურებში. ამ მტკივნეულ, საჯარბოროტო საკითხებზე არაერთი ხიგნალი მიიღო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ.

წლეულს ბენზინით ვაჭრობის საქმეში კარგი ხიასლე დაინერგა — ინდივიდუალური ავტომობილების მფლობელებს ბენზინი მხოლოდ სათანადო ტალონებით მიეცემათ, რაც გამორიცხავს გამწყობის მიერ ხურდის მითვისებას. მაგრამ კარგმა ხიასლემ ზოგ უპატიოსნო ადამიანს სარფა მაინც არ მოაკლო.

რედაქციაში ასეთი ხიგნალი გამოგზავნა ჩვენი გაზეთის მკითხველმა ა. ბუხრაშვილმა:

14 იანვარს მცხეთის რაიონში, ნატახტართან მდებარე ბენზინგასაწყობ სადგურში ოპერატორებმა მერი კოროშინაძემ და ნინო კობალაძემ ავტომანქანის ბენზინის ავზში 30 ლიტრი ბენზინი ჩამისხეს. მე მათ გავუწოდე ორი ოცი-ოცი ლიტრიანი ტალონი, მათ კი 10 ლიტრის დაბრუნებაზე უარი მითხრეს — ხურდა ტალონები არა გვაქვსო.

ჩვენ ეს საყურადღებო ხიგნალი შევამოწმეთ და სავხებით დადასტურდა.

იმ დღეს მცხეთის რაიონიერმაღში მხოლოდ 20-20 ლიტრიან ტალონებს ყიდდა გამყოფელი ე. ძიძიგურიც და, საერთოდ, მცხეთის რაიონის ნავთობბაზას (დირექტორი — თ. კაპანაძე) ხურდა ტალონები გასაყიდად არ გამოუტანია და არც ბენზინგასაწყობი სადგურები მოუმარაგებია.

ასე ხდება არა მარტო მცხეთის რაიონში. იგი უკურნებელ სენად იქცა თბილისშიც და ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა ბენზინგასაწყობი სადგურის მუშაკებისათვის. 10 და მითუმეტეს 5 ლიტრი ბენზინის ტალონს ხურდის სახით არავინ დაგიბრუნებს მიუხედავად მოთხოვნისა „მათი უქონლობის“ მომიზეზებით.

ვისი ჯიბე სქელდება დარჩენილი ბენზინის ღირებულებით? ეს ისე ხომ არ არის, როგორც ქართულ ანდაზაშია: ვაის გავეყარე და უის შევეყარეო!

სენს ამოვათვინ უნდა ვუმკურნალოთ.

ბ. ბახტურიძე.

გაზეთრჯვებული

გაზეთ „კომუნისტის“ 1977 წლის ფოტოკონკურსის შედეგები

შეჯამდა გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკონკურსის — „ოქტომბერი — საიუბილეო“ შედეგები წლის საუკეთესო ფოტოსურათისათვის.

კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც ფოტომოყვარულები, ისე ფოტოჟურნალისტები.

გადაწყდა, რომ პირველი პრემია არავის არ მიენიჭოს.

მეორე პრემიები მიენიჭათ:

ბ. მაღლაფერიძეს — ფოტორეპორტაჟისათვის ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან.

ა. სააკოვს — „მას ხომალდები ელიან“.

მესამე პრემიები მიენიჭათ:

მ. დათიკაშვილს — „შორეული ვარსკვლავების შუქი“.

კ. გენძეხაძს — „მშვიდობის მტრედები“.

ა. მაჰავარიანს — „პიონერული ხაზი“.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მადლობას უხდის კონკურსის ყველა მონაწილეს და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებს მათ.





სურათებზე: პრემირებული ნამუშევრები: ზემოთ მარცხნივ — ა. სააკოვი „მას ხომალდები ელიან“; მარჯვნივ ბ. მაღლაფერიძე — კადრი რეპორტაჟიდან „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“; ქვემოთ მ. დათიკაშვილი — „შორეული ვარსკვლავების შუქი“; ა. მაჰავარიანი — „პიონერული ხაზი“; კ. გენძეხაძე — „მშვიდობის მტრედები“.

ახალი ალმოჩენა

„ჯადოსნური კრისტალის“ საიდუმლო

საბჭოთა მეცნიერების დიდი მიღწევა

19 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში რეგისტრაციაში გაატარეს ახალი აღმოჩენა ნახევარგამტართა კრისტალური ქიმიის დარგში. ეს ფუნდამენტური კვლევა შეასრულეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მოსკოვის ფოლადისა და შენადნობების ინსტიტუტისა და დიდაქალაქის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერებმა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ამჩქარებელი გახდა ელექტრონული ტექნიკა. ასეთი მანქანებისა და ხელსაწყოების ძირითადი რგოლია ნახევარგამტარები. ეს „ჯადოსნური კრისტალები“ შესაძლებლობას იძლევიან განუწყვეტელ მკვრდებოდეს მოწყობილობებს სიდიდე და მოხმარებული სიმძლავრე. ქარხნების კონვეიერებიდან ყოველწლიურად ასობითასობით ელექტრონული ხელსაწყო გადმოდის. მათ ფართოდ იყენებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებსა და კომპიუტერებში, ტელევიზორებში, რადიომიმღებებსა და ფოტოაპარატებში.

ნახევარგამტართა ძირითადი მასალებია სილიციუმი და გერმანიუმი. ისინი, როგორც ყველა მყარი ნივთიერება წვრილ, ატომურ-პერატურასა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით იცვლიან თვისებებსა და სტრუქტურას. მაგრამ, რა მიმართულებით მოხდებოდა თვისებრივი ცვლილება, ამის განჭვრეტა ბოლო დრამდე სპეციალისტებს არ შეეძლოთ. ფუნდამენტური კვლევის შედეგად, რომელიც ნ. ვ. ბელოვმა, გ. ბ. ბოკიმ, ვ. ბ. ლაზარევმა, ვ. ო. შვარნკოვმ, ნ. ლ. სმირნოვამ, ვ. თ. დვორიანკინამ, ი. ხ. ვეშილოვმა, ა. მ. ალტუშელერმა, ა. ლ. ზზოტოვმა, გ. რ. უმაროვმა გასწიეს, გამომძღავნდა „ჯადოსნური კრისტალების“ კიდევ ერთი საიდუმლო. აღმოჩენის ავტორებმა დაადგინეს, თუ როგორ იცვლება ნახევარგამტართა თვისებები და სტრუქტურა ტემპერატურის, წნევის ზემოქმედებით ან კრისტალის ქიმიური შედგენილობის შეცვლის შედეგად. მათ ისეთივე მაღალი ელექტროგამტარობა ენახვნებათ, როგორიც ლითონს აქვს. ახლა აღმოჩენის საფუძველზე ისეთი შეიძლება ამის განჭვრეტა, რომ როგორ განლაგდება ატომები ნივთიერების ახალ კრისტალურ სტრუქტურაში, რა თვისებები ექნება მას.

საბჭოთა მეცნიერების ნამუშევარი ფართო შესაძლებლობებს სახავს ომისათვის, რომ მივიღოთ გათვალისწინებულთვისებებ ი ა ნ ი ნახევარგამტარები და კიდევ უფრო სრულყოთ ელექტრონული ტექნიკა.

რ. ახმეტოვი,
(საკადესის კორ.).
მოსკოვი

საბჭოეთ ქართველ ალპინისტთა ალაზანის ხეობაში ჩატარებული ექსპედიციის

შვილი ჯარში მსახურობს

გორის რაიონი, სოფელი ზერბი, თამარა და კარლო ბესიაშვილებს

სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი მალხაზი პირნათლად იხდის სამხედრო მოვალეობას. მან დაიმახსოვრა სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნის საპატიო წოდება, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატად ითვლება. მალხაზი ჩვენი სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობაში მისაბაძი ახალგაზრდაა, მაღალ დონეზე ასრულებს მეთაურთა შემადგენლობის დავალებებს.

მადლობას გიხდით სამშობლოს ერთგული ასეთი შვილის აღზრდისათვის.

ნ. კოსტიანტინეს — სამხედრო ნაწილის მეთაური,
ა. სიხოვი — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

ლაგოდეხი, მარიამ და იასონ ლოგვინიძეებს

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი ტარიელი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი სამხედრო ნაწილის მებრძოლთა შორის. ეფრეიტორ ტ. ლოგვინიძეს ახასიათებს საქმისადმი დიდი სიყვარული, მაღალი დისციპლინა, იგი ჩინებულად ფლობს სამხედრო პროფესიას, მიღებული აქვს არაერთი წამახალისებელი ჯილდო.

მადლობას გიხდით სამშობლოს ერთგული შვილის აღზრდისათვის. გვჯერა, რომ ტარიელი მომავალშიც კეთილსინდისიერი შრომით ასახელებს სამშობლოს.

ვ. რადკო — სამხედრო ნაწილის მეთაური, ი. ხელეზნიოვი — პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ა. ზემლიაკოვი — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

მეომრები მოსწავლეებთან

თერჯოლის რაიონის ჭოგნარის კაპიტან ბუხაიძის ხახელობის საშუალო სკოლაში მოეწყო შეხვედრა სტუმრად ჩამოსულ საბჭოთა არმიის მეომრებთან.

აღფრთოვანებული პიონერები მეესალმნენ ძვირფას სტუმრებს. ისინი საზეიმო ვითარებაში სკოლის პიონერული ორგანიზაციის საპატიო პიონერებად მიიღეს.

ზეიმმა სკოლის ეზოდან გადაინაცვლა ამ სოფლის შვილის, დიდი სამამულო ომის გმირის კაპიტან მიხეილ ბუხაიძის ძეგლისაკენ. აქ პიონერებმა და კომკავშირელებმა დიდი სიამაყით აღნიშნეს ამ გაბედული, ხაზრიანი და ნიჭიერი ათასეული მეთაურის მხედრული დამსახურება, გმირული ხიკვდილის წინ, დაჭრილი რომ ხელმძღვანელობდა ბრძოლას. მოსწავლე ახალგაზრდებმა ფიცი დადეს, რომ იქნებიან სოციალისტური სამშობლოს დამცველნი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

შინმოუსვლელთა პატივსაცემად გამოაცხადეს წუთიერი დუმილი. შემდეგ პიონერებმა წაიკითხეს ლექსები.

საზეიმო მიტინგი ხასოფლო კლუბში გაგრძელდა.

გ. გრიგალაშვილი,
თერჯოლის რაიონის ჭოგნარის კაპიტან ბუხაიძის ხახელობის საშუალო სკოლის დირექტორი.

კალათბურთი

სამი შეცდომის ფასი

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი ამერიკული ტურნეს მესამე მატჩი გამართა კანზას-სიტში ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან. ამჯერად გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 57:54 (30:34). შეხვედრა მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ როცა მატჩის დამთავრებას სულ 2 წუთი აკლდა, სტუმრები დაწინაურდნენ ანგარიშით 54:51. ამერიკული წესების თანახმად, გუნდს, რომელიც ფლობს ბურთს, უფლება აქვს შეტევის გარეშეც განუსაზღვრელი დროით გაათამაშოს ბურთი. სწორედ ასეთ ვითარებაში ფლობდნენ ბურთს სტუმრები, როცა შეხვედრის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, მაგრამ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს: ერიომინი სამჯერ შეცდა და მასპინძლებმა თითქოსდა წაგებული მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

ფეხბურთი

კენჭისყრამ დაასახელა

გუშინ ციურიხში გაიმართა თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩებში მონაწილე გუნდების კენჭისყრა. მეოთხედფინალში მოსკოვის „დინამოს“ მეტოქე იქნება სევილიის (ესპანეთი) „რეალ-ბეტისი“. დინამოელები პირველ შეხვედრას გამართავენ 1 მარტს სტუმრად, მეორეს — 15 მარტს შინ. ამ ტურის დანარჩენი გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ვალენ“ (დანია) — „ტვენტე“ (ჰოლანდია), „პორტო“ (პორტუგალია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), „აუსტრია“ (ავსტრია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია).

ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე 18 გუნდს შორის 17 ტურის შემდეგ „რეალ-ბეტისი“ მეცამეტე ადგილზეა. იგი ლიდერს — მადრიდის „რეალს“ 13 ქულით ჩამორჩება.

თხილამურები

გაპურიანელთა წარმატება

ხლავსკოეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოზარდთა ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ამ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ბაკურიანელმა ნორჩმა დინამოელებმა: გოგონათა შორის ლალომში და სწრაფდაშვებაში პირველი ადგილები მოიპოვა მ. ჯოხანაშვილმა. სწრაფდაშვებაში მესამე იყო თ. გელაშვილი. ჭაბუკთა შორის იმარჯვა ვ. სანაკოევმა. მან პირველობა მოიპოვა გიგანტურ სლალომში, ხოლო სწრაფდაშვებაში მესამე ადგილზე გამოვიდა.

ფიგურული ციგურაობა

შემადგენლობა დამტკიცდა

საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში 31 იანვარს იწყება ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. სპორტის ამ სახეობის ციგურაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა: წყვილთა სრბაილი — ი. როდნინა და ა. ზაიცევი, მ. ჩერკასოვა და ს. შახრაი, მ. პეტროვა და ს. ლეონოვიჩი; საცეკვაო დუეტები — ი. მოისეევა და ა. მინენკოვი, ნ. ლინჩუკი და გ. კარპოზოსოვი, მ. ზუევა და ა. ვიტმანი; ქალთა და ვაჟთა ერთეულები — ე. გოდოროვა, ნ. სტრელკოვა, ე. ილინა, ვ. კოვალიოვი, ი. ოვჩინიკოვი და ი. ბობრინი.

ტანვარჯიში

ჩვენი ოლიმპიური იმედი

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრებში შეიყვანეს 13 წლის ხათუნა ნანიშვილი

საკმაო ხანგამოშვების შემდეგ საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრებში კვლავ გამოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ქართული სატანვარჯიშო სკოლის აღზრდილი 13 წლის ხათუნა ნანიშვილი.

რუსუდან სიხარულიძემ და ნინო დრონოვამ, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ბოლო წარმომადგენლები იყვნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში, თავისებური ესტაფეტა გადასცეს თბილისის განათლების განყოფილების გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სატანვარჯიშო სკოლის (დირექტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მ. იმნაძე) აღზრდილს, ნორჩ სპორტსმენს — ხათუნა ნანიშვილს.

ახლახან საკავშირო სპორტკომიტეტიდან თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს თავმჯდომარის გ. ყირიმელაშვილის სახელზე მოვიდა ბარათი, რომელშიც კომიტეტს ატყობინებდნენ, რომ ხათუნა ნანიშვილი შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებში.

„ქართული სპორტის, კერძოდ, ქართული სატანვარჯიშო სკოლის ამ წარმატების აღნიშვნისას, უწინარეს ყოვლისა, მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ხათუნა ნანიშვილის აღმზრდელები, მისი მწვრთნელები დ. სირაძე და გ. გიუტაშვილი.

ამჟამად ხათუნა ნანიშვილი 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების პროგრამით სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. მას წვრთნის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. კლიმენკო.

სურათზე: ხათუნა ნანიშვილი.

ფეხბურთი

ფინალში...

თბილისში დამთავრდა ქალაქებისა და ჭაბუკთა საკავშირო ზონალური შეჯიბრებანი ჩოგბურთში. თბილისის ზონაში გამოდიოდნენ მოსკოვის, ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. თითოეულ გუნდში შედიოდა სამ-სამი სპორტსმენი. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ მ. გომაეე, კ. პეტროსიანი, ი. მალაციძე, გ. ზამბახიძე, პ. სეხნიაშვილი და ვ. ხურდა.

ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით გაიმართა, საქართველოს, მოსკოვისა და ბელორუსიის ნაკრებმა გუნდებმა თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვეს. მასპინძლებს ცალკეულ პარტიებში გამარჯვების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ და მათ მიეკუთვნათ პირველი ადგილი. მოსკოველები მეორე ადგილზე გავიდნენ. ეს ორი გუნდი გაზაფხულზე მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის პირველობის ფინალში, რომელიც დნეპროძერჟინსკში გაიმართება.

(საქინფორმი).

ჭოგბურთი

დიდი უპირატესობით

ერევანში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის პირველობის მეხუთე ტურის მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით — 6:1. ორ დარჩენილ მატჩს საბჭოთა ნაკრები გამართავს შეეცაში 9 თებერვალს და საფრანგეთში 9 აპრილს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით ამხ. ი. შ. ზედგინიძე გათავისუფლდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტენისი

ოლიმპიური იმედი

ბულგარეთში

ბულგარეთში ქალაქ ბანიაში ბულგარეთ-ბელგიის ტენისის ნაკრებებს შორის ჩატარებულ ორ-ორ ერთეულ ერთეულ ერთეულ